გორის მუნიციპალიტეტის
საკრებულო
განკარგულება № 79

2023 წლის 15 მაისი

ქალაქი გორი

ფიზიკური პირისთვის, მერი დოლიაშვილისთვის (პ/ნ 59001042882) აღნაგობის უფლების გასხვისებაზე თანხმობის მიცემის თაობაზე, გორის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

2015 წლის 26 ოქტომბერს გორის მუნიციპალიტეტის მერიასა და ფ.პ. ვლადიმერ დოლიაშვილს პ/ნ 59001004066 (დღევანდელი აღნაგობის უფლების მქონე ფ.პ. ვლადიმერ დოლიაშვილის მემკვიდრე (სამკვიდრო მოწმობა N180473492 / 30.04.2018 წ.) ფ.პ. მერი დოლიაშვილი პ/ნ 59001042882) შორის გაფორმდა სასყიდლიანი აღნაგობის ხელშეკრულება, რომლის საგანს წარმოადგენდა ქალაქ გორში, ცხინვალის გზ. (დღევანდელი მისამართი ქ. გორი, ტყვიავის ქუჩა N59ა) მდებარე 95.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, საკადასტრო კოდი N66.45.07.242.

ფ.პ. მერი დოლიაშვილმა (პ/ნ 59001042882) 2023 წლის 22 თებერვლის N19/2023053234-20 განცხადების საფუძველზე მოითხოვა მუნიციპალიტეტის თანხმობა, გაასხვისოს მისთვის გადაცემული აღნაგობის უფლება ფ.პ. დავით დოლიაშვილზე (პ/ნ 59001025469). ხოლო, ფ.პ. დავით დოლიაშვილმა (პ/ნ 59001025469) 2023 წლის 22 თებერვლის N19/2023053240-40 განცხადებით, გამოთქვა სურვილი ფ.პ. მერი დოლიაშვილისგან მიიღოს აღნაგობის უფლება, სასყიდლიანი აღნაგობის ხელშეკრულებით ყველა ნაკისრი ვალდებულებებით.

2015 წლის 26 ოქტომბერს გორის მუნიციპალიტეტის მერიასა და ფ.პ. ვლადიმერ დოლიაშვილს (პ/ნ 59001004066. დღევანდელი აღნაგობის უფლების მქონე ფ.პ. ვლადიმერ დოლიაშვილს მემკვიდრე (სამკვიდრო მოწმობა N180473492 / 30.04.2018 წ.) ფ.პ. მერი დოლიაშვილი პ/ნ 59001042882) შორის გაფორმებული სასყიდლიანი აღნაგობის ხელშეკრულების პირობები 2022 წლის 09 მარტის N19/2022068278-20 განცხადებით წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით შესრულებულია.

საქართველოს კანონის „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის“ 235-ე მუხლის მიხედვით თუ მხარეთა შეთანხმებით აღნაგობის უფლების გასასხვისებლად ან გასაქირავებლად საჭიროა მიწის ნაკვეთის მესაკუთრის თანხმობა, მესაკუთრეს შეუძლია უარი თქვას ამ თანხმობის გაცემაზე

მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საამისოდ არსებობს მნიშვნელოვანი საფუძველი, ვინაიდან მითითებული ხელშეკრულებით სავალდებულოა მესაკუთრის თანხმობა აღნაგობის უფლების გასასხვისებლად და აღნიშნულ თანხმობაზე უარის თქმის მნიშვნელოვანი საფუძველი არ არსებობს. გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია მიეცეს თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის მერს იმის თაობაზე, რომ ფ.პ. მერი დოლიაშვილს (პ/ნ 59001042882) მისცეს თანხმობა, გაასხვისოს 2015 წლის 26 ოქტომბრის სასყიდლიანი აღნაგობის ხელშეკრულებით მინიჭებული აღნაგობის უფლება ფ.პ. დავით დოლიაშვილზე (პ/ნ 59001025469), ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 61-ემუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, 122-ემუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-4 პუნქტის და საქართველოს კანონის „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის“ 235-ემუხლის საფუძველზე, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის მერს, ფ.პ. მერი დოლიაშვილს (პ/ნ 59001042882) მისცეს თანხმობა აღნაგობის უფლების (საგანი: ქალაქ გორში, ცხინვალის გზ. (დღევანდელი მისამართი ქ. გორი, ტყვიავის ქუჩა N59ა, ს.კ. 66.45.07.242) ფ.პ. დავით დოლიაშვილზე (პ/ნ 59001025469) გასხვისებაზე, 2015 წლის 26 ოქტომბრის სასყიდლიანი აღნაგობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

3. განკარგულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

4. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ქ. გორი, ს. ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე დავით რაზმაძე